კოლეჯის სამეთვალყურეო საბჭოს 30.01.2019 წლის

N2 ოქმით დამტკიცებული

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი

2018 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2018 წელს სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯში გაიმართა კოლეჯის დაარსებიდან 135-ე წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება.

პროფესიული განათლებისა და კოლეჯის პროფესიული პროგრამების პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო სასწავლო ექსკურსიები სკოლის მოსწავლეებისათვის. კოლეჯში იმყოფებოდნენ სოფელ ძეგვის, სოფელ ქსოვრისის, სოფელ ქსნისა და მცხეთის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები.

საერთაშორისო პარტნიორებთან მჭირდო ურთიერთობების დასამყარებლად, გაცვლითი პროგრამების ხელშესაწყობად და ქვეყნებს შორის გამოცდილების გასაზიარებლად, კოლეჯს სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით სტუმრობდნენ ჩეხეთის რესპუბლიკის, პარდუბიცეს მხარის, ქალაქ ლანშკროუნის კოლეჯის სტუდენტები და მასწავლებლები.

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში კოლეჯის სტუდენტები იმყოფებოდნენ ჩეხეთის რესპუბლიკაში, სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით. ასევე, საფრანგეთის მხარის მიწვევით, კოლეჯის დირექტორი იმყოფებოდა ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე ქალაქ ბორდოში, სადაც საფუძველი ჩაეყარა მხარეებს შორის მჭირდრო თანამშრომლობას.

გაეროს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა პროფორიენტაციის კურსები სკოლის მოსწავლეებისათვის.

მეხილეობის დუალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ზოგადი განათლების ინტეგრირებული მოდულების პილოტირება, რისთვისაც მოეწყო და აღიჭურვა შესაბამისი ლაბორატორიები, შეირჩა სათანადო კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლები. პროგრამის პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები ჩართულნი იყვნენ ფერმერთა ასოციაციის მიერ განხორციელებულ ტრენინგებში.

კოლეჯის ადმინისტრაციული რესურსის და პროფესიული მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ტრენინგი პროფესიული მასწავლებლებისათვის.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდა ტრენინგები:

- მოდული 3 - სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები;

პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პროგრამაში შემავალი მსჯავრდებულთა (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, თავისუფლებაშეზღუდული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობის'' ქვეპროგრამის ფარგლებში კოლეჯმა ორ ეტაპად განახორციელა მოკლევადიანი კურსები ქსნის N15 და გარდაბნის N5 სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

კოლეჯმა პროფესიული უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში განახორციელაა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის კურსი მცხეთის რაიონის სამ საჯარო სკოლაში.

სასწავლო პროცესის სრულყოფის მიზნით, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები ახალ პროფესიულ მასწავლებლებთან, განხორციელდა ცვლილებები პროფესიულ პროგრამებში, დამტკიცდა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ახალი აქტები/წესები.